№ 26. 5 თებერვალი, ხუთშაბათი. 2 N37 1866—1881 5 თებერვალი, ხუთშაბათი. № 26.

რედაქცია
გალავნის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ въ редакцію „Дроеба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი
| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით [illegible] სტრიქონზე [illegible] კაპ., მოთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

რადგან ბევრი გვეკითხება—თუ რათომ ამდენი ხანი „დროებაში" არ იყო პასუხი ბატ. იანოვსკის წერილის გამო, ამისაგამო საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ეს პასუხი ორ კვირაზე მეტია, რაც დაწერილია და წარდგენილი ცენზურის კომიტეტში; მაგრამ დღემდის გარდაწყვეტილი პასუხი ვერ მივიღეთ: ნება-დართული იქნება ის სტატია, თუ არა.

## ვეფხვის ტყაოსანი

ვეფხვის ტყაოსნის ხელთ-ნაწერ ვარიანტებთან შემათანხმებელი რედაქცია სთხოვს ყოველთა ქართული მწერლობის მოყვარეთა მობრძანდნენ პირველს რედაქციის სხდომაში. პარასკევს 6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. სხდომა იქნება ტფილისის სადგილ-მამულო ბანკში.

## ტელეგრამმები

(სახლთა შორის სააგენტოსი)

ბერლინი, 3 თებერვალს. რეიხსტაგის სხდომის დროს წარმოთქმულს ტახტის სიტყვაში" მოყვანილია, რომ გერმანიას ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს. ყველა უმთავრესი სახელმწიფოები მოხდენილნი არიან, რომ მშვიდობიანობა დაიცვან; მეუდროებისა და მშვიდობიანობის დაცვისათვის ევროპის ყველა სახელმწიფოები ერთ ნაირად ცდილობენო.

პეტერბურღი, 3 თებერვ. გუშინ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე აქედამ შვერინს წავიდა.

„გოლოსში" იწერებიან, პეტერბურღის ქალაქის გამგეობამ გარდაწყვიტა, რომ ქალები მიიღონ ამ გამგეობის სამსახურში მწერლებად და მოანგარიშეებად.

პეტერბურღის ბირჟა, 3 თებერვალს.

(„სახლთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 95 | 37 |
| მეორესი — — — — — | 93 | 12 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 95 | 35 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 92 | 12 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 92 | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— — | 7 | 77 |
| ტფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 221 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 221 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—25 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215— „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 266—62 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129—50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — | — | |

## კიდევ სამეურნეო საზოგადოებაზედ

ტფილისი, 4 თებერვალს.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ თქმული, რომ ჩვენმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამოიღვიძა, ფილოქსერის საქმეს შეუდგა ის ენერგიულად და იმედიაო, რომ ამ შემთხვევაში ის თავის ჩვეულებრივ სიზარმაცეს და დაუდევრობას დაივიწყებსო.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი იმედები ტყუილი და უსაფუძვლო ყოფილა; ძნელი ყოფილა თურმე გამოღვიძება და საქმის ხელის მოკიდება იმისთვის, ვინც ღრმა და გამუდმებულს ძილსა და უსაქმობას შესჩვევია...

ეს ერთს თვეზე მეტია, რაც ხსენებულმა საზოგადოებამ, სხვათა შორის, გარდაწყვიტა, რომ შეადგინოს პატარა სახალხო ბროშურა ფილოქსერის თაობაზედ და გამოსცეს ის ბროშურა საქვეყნოთ, რომ ყველამ გაიგოს—თუ რა არის ეს ვაზის საშინელი ავათმყოფობა, როგორ და რა საშუალებით შეიძლება იმასთან ბრძოლა, იმის თავიდამ აცილება და სხვ.

საზოგადოებამ მაშინვე ამოარჩია ოთხის კაცისაგან კომისია, რომელსაც მიანდო ამ ბროშურის შედგენა. კომისიამ ერთს კვირაზე შეადგინა ბროშურა და წარმოუდგინა საზოგადოებას განსახილავად და დასაბეჭდათ. ამ განხილვის დროს აღმოჩნდა რომ ბროშურას ზოგიერთი წვრიმალი ნაკლულევანება ჰქონდა, რომელსაც შესწორება ეჭირებოდა. ეს საქმე მიანდეს ბ. მოროზს.

მას აქეთ აგერ ერთი თვე გადის, და ბატ. მოროზმა მხოლოდ ეხლა 28 იანვარს წარმოუდგინა საზოგადოებას თავის აზრი, რომ ბროშურას ერთობ ბევრი ნაკლულევანება აქვს, და თუ მე მომანდობთ, ახალს ბროშურას შევადგენ ფილოქსერაზედაო!

საზოგადოება იძულებული შეიქნა, რომ ხელმეორედ დაენიშნა კამისია ხსენებულ ბროშურის გასაშინჯავად.

ამ ნაირად იმ საქმეს, რომლის გარიგება ერთის კვირის განმავლობაში ძალიან ადვილად მოხერხდებოდა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ჯერ-ჯერობით ექვს კვირას მოუნდა და შემდეგში კიდევ რამდენს ხანს მიანდობს, ამის კი რა მოგახსენოთ! სხვა საქმეში, სადაც აჩქარება და სისწრაფე მაინც-და-მაინც ერთობ საჭირო არ არის, ამ გვარი დაგვიანება შეიძლება მავნებელი არ იყოს; მაგრამ აქ, ფილოქსერის შესახებ თუ ყოველი ღონის-ძიება მსწრაფლად არ

## „დროების" ფელეტონი, 5 თებერვალი

* * *

(სცენიდამ ნათქვამი)

იქ, სადაც, ძმებო უმეტესობას
კულმა ესმის პატიოსნობა,
ურს ვინ დაუგდებს სიმართლის მღერას
ა ვის რათ უნდა ტკბილი მგოსნობა?!

—

იქ, სადაც მხოლოდ პირადობისკენ
[illegible]ქვთ მიქცეული თვალი და ყური,
[illegible]ო იამებათ აბა მითხარით,
[illegible]ქსი ტკბილი და ტკბილი ჩანგური?

—

[illegible]ქ, სადაც მოძმე თავისვე ძმასა
[illegible]რთან აბეზღებს მარად-და-მარად,
ეყოლება საბრალო მღერალს
კირების დროს შემწეთ და ფარად!

—

[illegible]ქ, სადაც თურმე ქვეყნისთვის შრომა
[illegible]უნობა ბევრსა ჰგონია,
[illegible]ალი სიტყვა სცენიდამ თქმული,
სასიამო გასაგონია!

აკაკი.

## მეცნიერებიდამ

**ასტრონომია.** სამყარო არ არის დასაბამითგანვე შეურყეველი; იგი იცვლება როგორც სხვა ყველაფერი ბუნებაში. — სოფლის დაარსების თეორია სვედენბორგისა, კანტისა და ლაპლასისა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს მეცნიერებაში შემოვიდა და ეხლა შეურყეველ საფუძველზედ დასდგა დიდებული დედა-აზრი, რომელსაც უწოდებენ **ევოლიუციას** (განვითარება). ევოლიუციის თეორია გვასწავლის, რომ ყოველს ბუნების არსს მინიჭებული აქვს განვითარების ანუ გაუმჯობესობის თვისება.

მსოფლიოს დასაწყისიდან ყველაფერი ბუნებაში იყო მარტივი; დროთა განმავლობაში ყოველი ქმნილება შედიოდა განვითარებაში, თან-და-თან უფრო რთული ხდებოდა და ამ სახით ქვეყნიერებაზედ მყარდებოდა ის მაღალ ხარისხის ცხოვრება, რომელსაც ეხლა ვხედავთ.

წარსულ საუკუნის დამლევს საფრანგეთის მეცნიერმა **ლამარკმა** პირველად სხვებზე ცხადად გამოსთქვა, რომ ყოველი უმაღლესი ხარისხის ცხოველი წარმოსდგა განვითარებით მდაბალის ცხოველიდგანაო. ჩვენ ვიცით, რომ **ჩარლზ დარვინმა, ერნესტ ჰეკელმა, ჰერბერტ სპენსერმა** და სხვ. ევოლიუციის თეორიის მიმყოლთა უსაცილო ჭეშმარიტებად გახადეს ეს სწავლა **ბიოლოგიაში** (ცხოველების მეცნიერება).

**ოგიუსტ კონსტის** თაოსნობით ამ სწავლაზედ არის დამყარებული მთელი ახალი მეცნიერება—**სოციოლოგია** (ადამიანთა საზოგადოების განვითარების მეცნიერება). ჰერბერტ სპენსერის ხელში, რომელიც უწარჩინებულესი წარმომადგენელია ევოლიუციური ფილოსოფიისა, **ფსიხოლოგიამ** (ადამიანის სულიერი ნიჭიერების მეცნიერება) გაიბერტყა ძველად-ძველი სხოლასტიკის ხავსი და გახდა ეხლა ნამდვილს მეცნიერებად. მოვიგონოთ კიდევ **ჩარლზ ლაიელი**—გეოლოგიაში. ერთის სიტყვით ევოლიუციის პრინციპმა მთელს სამეცნიეროში მოახდინა სრული რევოლიუცია.

უძველა მეცნიერებაზედ უხუცესი მეცნიერებაც — ასტრონომია ანუ ვარსკვლავთ - მრიცხველობა არ ჩამორჩა უკან სხვა მეცნიერების მოძრაობას. ეხლა ასტრონომია აღიარებს, რომ მთელი მსოფლიო: მზეები, ვარსკვლავები, პლანეტები იბადებიან იზრდებიან, ჰასაკოვნდებიან და ბერდებიან.

მართლა და არც ერთი რწმუნება არ არის ისე ცრუ, როგორც ისა, ვითომ სამყარო სოფლის დასაბამიდგან შეურყეველი და უცვალებელია. პირ იქით, წამი არ გაივლის ისე, რომ ცის მნათობთ შორის უდიდესი ცვლილება არ მოხდეს.

ნუ ვიტყვით, რომ ყოველი მნათობი: ვარსკვლავი, თუ პლანეტა და თუ სხვა ციური სხეული დაუდგრომელს მოძრაობაში არიან თავის ორბიტებზედ და თავის ბრუნვის ღერძზედ. ასტრონომების თვალის წინ ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე ახალი უცნობი ვარსკვლავები ისეთს ადგილს, სადა წინეთ არა ყოფილა-რა; ხშირად რომელიმე ცნობილი ვარსკვლავი ფერით იცვლება: გუშინ რომ თეთრი იყო დღეს წითელ ფერად ილებება; ზოგი კლებულობს სიბრწყინვალეში, ზოგიერთი კი, რომელიც გუშინ ძლივსა ბჟუტავდა ცაზედ, დღეს მოკაშკაშე გაჩაღებულ მნათობადა ხდება.

დიდის ხნიდგან მეცნიერები ცდილობდნენ შეედგინათ ისეთი თეო-

იქნა ხმარებული, თუ ჩვენ ჩვენებური დაუდევრობა დავიწყეთ, უეჭველია, სიკეთე არ დაეყრება ჩვენს მემამულეებს.

ამას გარდა ჩვენ გვაკვირვებს კიდევ ის გარემოება, რომ ეს სამეურნეო საზოგადოება არაფერს არ აცხადებს იმაზე—თუ რა პასუხი მიიღო იმან მთავრობის წინაშე შუამდგომლობაზედ, რომ ვაზისა და სხვა ხეხილის ნერგების მოტანა ზღვით და სამზღვარ გარეთიდამ აღკრძალულ იქმნეს.

## ახალი ამბები

რუსულ გაზეთში იწერებიან ახალ-თეკედამ, რომ იქაურ რუსის ჯარის სარდალს ღენ. სკობელევს ახალი ჯარები მოსვლია და ამ ჯარებით იმან ახალ-თეკედამ ასხაბატისაკენ წინ გაიწია კიდევ 80 ვერსის მანძილით. ახალ-თეკეში ტელეგრაფის სტანცია გაუმართავთ.

* * *

ზემოხსენებულისავე გაზეთების სიტყვით, ახალ-თეკეს ექსპედიციის გათავების შემდეგ, ჩვენს მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ დაპყრობილ ხალხის დასამორჩილებლად, რვა ბატალიონი ყაზახ-რუსების ჯარები დააყენონ რამდენსამე ალაგას, რომელთაც ამ ქვეყნის ყარაულობა ექნება მინდობილი. თვით ეს დაპყრობილი ქვეყანა კი კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობის ხელში იქნებაო, რომელიც ახალ-თეკის მაზრისათვის განსაკუთრებულ უფროსს (მმართველს) დააყენებსო.

* * *

ჩვენ მივიღეთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალის მე-9 და მე-10 წიგნი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია ორი დიდი სტატია, ერთი თ. ზაქ. ჭორჯაძისა—„ყურძნისა, ხილის და ღვინის ნაწარმოების აქციზი“ და მეორე მოხსენება აგრონომის ხოჯაევისა თფ. გუბერნიაში კალიის გაწყვეტის შესახებ.

ამავე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი უფრო საინტერესო ცნობანი:

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გადაწყვიტა, მიიღოს მონაწილეობა იმ სამეურნეო საგნების გამოფენაში, რომელიც წელს მოსკოვში იქნება. ამ განზრახვით კავკ. სამ. საზოგადოებას დაუნიშნავს 200 მან. ჯილდო და ოქროს მენდალი იმ პირისათვის, ვინც ამ წლის აპრილის თვემდინ დასწერს საუკეთესო თხზულებას კავკასიის მეურნეობისა წარმოებაზედ და ამას გარდა ავტორს მიეცემა კიდევ 800 მან. მოსკოვის გამოფენაში წასასვლელად.

საზოგადოების წევრს ბ. პენჩინსკის შეუტანია წინადადება, რომ, რადგან მცოდნე და ნასწავლი მებაღეები ჩვენში ძალიან ცოტა მოიპოვება, ამის გამო სამეურნეო საზოგადოებამ თავის ხარჯით გამართოს საბაღო სკოლა თფ. აკლიმატაციის ბაღთან (მუშტაიდის მახლობლათაო). საზოგადოებამ გარდაწყვიტა რომ ამ საგნის შესახებ ჯერ საჭირო ცნობები შეკრიბოს.

მცოდნე მებაღემ შერერმა სთხოვა საზოგადოებას, გამოიწეროს ართვინიდამ მინუშათ რამდენიმე ნერგი იქაური ვაზისა, რომელსაც ჰქვიან სახელად „ძანი“ და რომელიც ისეთივე თვისებისაა, როგორც ამერიკის ვაზიო, ესე იგი ფილოქსერა იმას არ ეკარება, ვერას ავნებსო. საზოგადოებამ გარდასწყვიტა, ბათუმის ღუბერნატორს სთხოვოს ამ ვაზის ნერგების გამოგზავნა გამოსაცდელად.

* * *

ერთის სოფ. ბეკმის გლეხ საგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი ამბავი:

„26 დეკემბერს ჩვენმა მღვდელმა გამოგვიცხადა რომ ხარი გამიხდა ავათ, თვალით ველარ ხედავსო და ამისათვის დავკალიო და ეს ხარი ღირს ფასათ ხუთ თუმნად, უნდა აღმიდგინოთ ჩემმა პრიხოდმაო...

„მართლაც დასჭრა ოთხ-ოთხ და სამ-სამ გირვანქად და მისცა სუდიას, მამასახლისის თანა შემწეს და მთავარ დიაკვანს და დაურიგეს სოფელს. მიიღებდნენ თუ არა, მაინც ფუთი სიმინდი ყველას უნდა მიეცა, თუმცა ორი ჩანახი სიმინდი ღირდა მანეთ-ნახევარი.

„ამ ნაირად ძალდატანებით ხარის ხორცი მივიღეთ; მაგრამ რა გვაჭმევდა, ბატონო, როდესაც ჩვენში ქირით უკანასკნელი ათი სული კვდება დღეში“...

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ საქართველოს ეგზარხოსს იოანნიკის გამოუცია ტაქცია იმ სასყიდლისა, რომელიც ჩვენებურ მღვდლებმა ყოველგვარ მღვდელ-მოქმედებისათვის უნდა აიღოს ხალხისაგან, ე. ი. გასაზღვრული თუ რამდენი უნდა აიღოს მღვდელმა ქორწილისა, ნათლობისა, ზიარებასა, დასაფლავებისა და სხვა ამგვარ საეკლესიო წესისათვის.

ამ მოკლე ხანში ჩვენ დავბეჭდავთ და საქვეყნოდ გამოვაცხადებთ ამ ტაქციას, რომლის დადგენის სარგებლობაზე ჩვენს გაზეთში რამდენიმე სტატია იყო დაბეჭდილი.

* * *

ჩვენ გვაცნობეს, რომ ბ. ი. მ. მეუნარგია დასთხოვნია „წერა-კითხვის საზოგადოების“ სეკრეტრობას და მის მაგიერ მმართველობას აურჩევია საზოგადოების საქმეთ-მწარმოებლათ ბ. კონსტანტინე დავითის-ძე ნაცვალოვი.

* * *

სია საქმეებისა, რომელიც დღეს ხუთშაბათს, უნდა განიხილოს ქალაქის რჩევის სხდომამ:

ამ 1881 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვა.

წინადადება ხმოს. თ. კ. ა. ბებუთოვისა ქალაქის სახელოსნო და პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ზედამხედველის დანიშნვაზედ.

მოხსენება კომისიისა ქალაქის კასსის (ხაზინის) უეცარ რევიზიის შესახებ და გამგეობის დასკვნა ამ საგანზედვე.

აზრი გამგეობისა და ხმოს. დ. კ. ელიმირზოვის ამ უეცარ რევიზიის უკანონობაზედ.

დამგირავებელ კანტორების (სსუდნი კასსების) რევიზიისათვის დეპუტატების ამორჩევა.

საეკრო დეპუტატების ამორჩევა.

პროექტი ორი პარომის გაკეთების იჯარით გაცემის კანტრაქტისა და სხვანი.

## წერილი რედაქტორთან

(დასასრული)

მარტვილელებმა თავიანთ ბრძო მომართეს სასწავლებლებზე და ?ებზედ, როგორც უმთავრესს მიზეზებზედ, იმა-

---

რია, რომლითაც კაცს შეეძლებოდა აეხსნა ქვეყნიერებათა დაბადება და ყოველი ცაზედ მომხდარი ცვლილება. სხვა უწინდელს სწავლულებს შორის დავასახელოთ სვედიის მეცნიერი ემმანუელ სვედენბორგი—1734 წ.

სვედენბორგმა გამოსცა ერთი დიდი თხზულება, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ყველა პლანეტები (დარასაკვირველია, ჩვენი დედა-მიწაც) მზისგან მოშორებულის ნივთიერებისაგან არიან წარმომდგარნიო. ის ამბობს, რომ მზეს ბრუნვისაგან ჯერ კრიკალივით გარს შემორტყმული ნივთიერება მოშორდაო, შემდეგ ეს კრიკალი დასწყდა და იმ ნაწყვეტებისაგან შესდგნენ პლანეტებიო.

თითქმის ამავე აზრისა იყო ნემეცის ფილოსოფოსი კანტიც; ოღონდ კანტი ამბობდა, რომ პლანეტები კრიკალის ნაწყვეტებისაგან კი არ წარმოსდგნენო, არამედ პირ-და-პირ ღრუბელსავით ბნეულ ნივთიერების შესქელებისაგანაო (შეკუმშებისაგან). ბიუფფონი კიდევ ჰფიქრობდა, რომ ცაზედ მორბედი კომეტები (კუდიანი კარსკლავი) ეხეთქებიან მზეს, მოჰგლეჯამენ მას ნივთიერებას და შემდეგ ეს ნივთიერება ერთს ადგილს პლანეტად იკრიბებაო.

მაგრამ საფრანგეთის მათემატიკოსი ლაპლასი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც კოსმოგონიკური თეორია დაამყარა ნამდვილს მეცნიერულს საფუძველზედ. ახალი მეცნიერება ყოველ დღე უფრო და უფრო რწმუნდება ლაპლასის თეორიის ანუ ჰიპოთეზის *) ჭეშმარიტებაზედ.

ლაპლასი დააკვირდა შემდეგს მოვლენას პლანეტებში: 1, ყველა პლანეტები უვლიან მზეს დასავლეთის მხრიდგან აღმოსავლეთისაკენ; 2, ყოველი პლანეტი თავის ღერძზედ ერთს მხრივა ბრუნავს, დასავლეთიდამ აღმოსავლეთისაკენ; 3, ყველა პლანეტებს თითქმის ერთი და იგივე მოძრაობის (ორბიტის) ცენტრო აქვსთ; 4, ყველა პლანეტები მზის ეკვატორის (შუა წელის) პირდაპირა ტრიალობენ; 5, პლანეტები ისე მრგვალნი არ არიან, როგორც ბურთი, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლიუსებზედ (ბრუნვის ღერძის თავში და ბოლოში) შეჭყლეტილნი არიან, როგორც მაგალითად ორს მძიმე ფიცარს შუა მოტანებული სათამაშო ბურთი; ნამეტნავად პლანეტა იუპიტერი ძალიან წააგავს გარეგანი შეხედულობით გაჭყლეტილს ბურთს; 6, პლანეტა სატურნს გარს შემორტყმული აქვს განიერი სარტყელი, რომელიც დასდევს ამ პლანეტს მის ღერძზედ ტრიალში.

მეხანიკიდამ ვიცით, რომ ბუნებაში არის ერთნაირი ძალა, რომელსაც ცენტრის-მშორავს ძალას ეძახიან; მისი მოქმედება სწარმოობს შემდეგში: როდესაც რომელსამე საგანს ვატრიალებთ ერთს წერტილს (ცენტრო) გარეშემო, მაშინ ეს საგანი ცდილობს მოშორდეს ამ წერტილს მაგალითად ბაწარზედ, რომ ქვა მოაბათ და ატრიალოთ, თქვენ იგრძნობთ ხელში, რომ ქვა ძალიან ეწევა ბაწარს; თუ მომატებულის სისწრაფით ატრიალეთ ქვა, ბაწარი გასწყდება და ქვა შორს გაიტყორცნება. რაც უფრო მომატებული სისწრაფით ატრიალებთ საგანს ცენტროს გარეშემო, მით უფრო მომატებული ძალით ცდილობს მოშორდეს ამ ცენტროს, მით უფრო ძლიერდება ცენტროს-მშორავი ძალა.

თუ გინდათ, რომ შურდულმა შორს გასტყორცნოს ქვა, უნდა დიდის სისწრაფით მოიქნიოთ (ატრიალოთ) შურდული. აგრეთვე რაც შურდულს გრძელი ტოტები ექმნება, ქვა მით უფრო ძლიერად გაიტყორცნება. მაშასადამე ბრუნვის სისწრაფე და ბრუნვის ცენტროსაგან დაშორება (ბრუნვის რადიუსის სიგრძე) აძლიერებს ცენტროს-მშორავს ძალას. მაუყარეთ ბრტყელს მოქნილს მავთულის კრიკალს თავიდამ ბოლომდი ღერძი შემდეგ დაატრიალეთ ძლიერად ეს ღერძი და უყურეთ რა მოუვა ამ კრიკალს: თავი და ბოლო მიიწევენ ერთმანერთთან და მუცელი კი კრიკალისა გამოიბერება. რაც უფრო ძალიან დაატრიალებთ ღერძს, მით უფრო კრიკალი ძალიან გაგრძელდება, ასე რომ ბოლოს შეიძლება კრიკალი მომატებული გაჭიმვისაგან წელში გასწყდეს. ადგილის უქონლობისა გამო ვერ აგიწერთ აქ პროფესორის პლატოს სამაგალითო ცდას, რომელიც უკეთ გვიჩვენებს ცენტროს-მშორავი ძალის მოქმედებას.

როდესაც ლაპლასმა ზემოხსენებული ასტრონომიით გამოკვლეული პლანეტების ბრუნვის ამბავი და მეხანიკიდამ ცნობილი ცენტროს-მშორავი

*) ჰიპოტეზა არის მოსაზრება, რომლითაც მეცნიერება ცდილობს ახსნას რომელიმე ბუნების მოვლენა. მეცნიერება არ ამბობს, რომ ლაპლასის ჰიპოტეზა სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს,—ის მხოლოდ ამბობს, რომ ეს ჰიპოტეზა ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოა.

თი აზრით, სასწავლებლის გადატანისა. ქვეყანა რომ გაიმართებოდეს, ყველაფერი ადვილათ საშოვარი რომ იყოს, მასწავლებელს არ შეუძლიან გაიმართოს, არ შეუძლიან იშოვოს რამე, თუ მამასახლისს ფასი არ მისცა. ეს კიდევ არაფერი; მაგრამ რა გინდათ, რა ჭორსა და ცუდს ხმას არ მოიფიქრებთ, რომ მასწავლებლებზე არ იკონებდნენ და არ ავრცელებდნენ: ეს ჭორები ვრცელდება სოფელში, იგებენ მოსწავლეები და რა თქმა უნდა, ბავშვებზე ამეებს კარგი გავლენა არ ექმნება. აი ერთი ამ გვარი მოგონებული ჭორი მასწავლებლებზე იყო მიზეზი იმ უსიამოვნობისა, რომელიც მე შემემთხვა, თუ თვითონ ეს შემთხვევა არ იყო მიზანი, რომ, თავიანთ აზრში, ვითომც შემათხუნონ როგორმე.

მე აქამომდე ფარანი არცა მქონია და არც დამიკარგავს. „მარტვილელი“ ტყუის: „ზედამხედველმა ფარანი დაკარგა და რესტორაციაში იპოვნა.“ ფარანი იყო სხვისა, ბ. პ—ის; იმან დაჰკარგა და იპოვნა რესტორაციაში, რომელიც ჰქონდა ერთს „კეთილშობილთაგანს,“ დგებუაძეს. ბ. პ—მ ჰკითხა: ვინ მოგცა შენ ეგ ფარანიო და დგებუაძეს ეთქო, რომ უჩიტელმა დამიგირავაო ერთ მანეთში. დახარჯა და ფული რო არა ჰქონდა ეს ფარანი დაანარჩუნაო. ბ. პ. მოვიდა და მითხრა მე ეს ამბავი. თუმცა ეს ჭორი მე სრულებით არ შემეხებოდა, მაგრამ როგორც მასწავლებლების კორპორაციის წარმომადგენელს ძრიელ მეწყინა, მით უმეტესად, რომ როგორც შემდეგ გავიგე, ეს ხმა თურმე დიდი ხანია მოუფენიათ სოფელში. მეწყინა მით უმეტესად, რომ შეგირდები გაიგებენ-მეთქი, რომ იმათ მასწავლებელს ტრახტირში სხვისა ფარანი გაუყიდნიაო და სირცხვილია-მეთქი. (ფარანი ძველი იყო; ახალი იმ ფარნისა ღირს 30 კაპ.)

ერთხელ საღამო ხანზედ მოვდიოდი სასწავლებლიდამ და გავიარე რა რესტორაციის წინ, რადგან ზედ გზაზედა დგას, მომაგონდა ფარნის ისტორია და შევბრუნდი. ხელში ჯოხიც კი არ მეჭირა: აბა რას მოველოდებოდი, რომ გაცოფებულს კაცს შევხვდები, რომელსაც წინ-და-წინვე მიზანი აქვს უსიამოვნება მომაყენოს და ეძებს მხოლოდ შემთხვევას. დგებუაძე ორს თავის ყადრს „კეთილშობილთან“ ოთუზბირს თამაშობდა. მე ვკითხე იმას:

— შენ გითქვამს, რომ უჩიტელმა დაგიგირავა ბ. პ—ის ფარანი? რომელი უჩიტელი იყო?

— შენი საქმე არ არისო, მიპასუხა იმან.

— ჩემი საქმეა, რადგან უჩიტლებზე ტყუან ხმას ავრცელებ და ეგ ხმა სთხრის უჩიტლების სახელს. უნდა მითხრა.

— არ გეტყვი... წადი, ბოვშვებს უბძანე. ჩემი ბძანებელი არა ხარ შენ. —აი შე უსინდისო...

დგემუაძე წამოხტა, მეცა უცებ და სამჯერ დამკრა. იმ ღამეს შევატყობინე პოლიციის პრისტავს და მეორე დღეს უჩივლე მომრიგებელ მოსამართლესთან. (მარტვილელი ტყუის, როცა ამბობს, რომ დგემუაძემ სთქვა სუდში, რომ ვსცემეო. ის ჯერეთ უარზე იდგა და მერე გამოატეხინეს). მომრიგებელმა მოსამართლემ მიუსაჯა სამი თვე დატუსაღება. იმ დღესვე კიდევ განარჩია ამისთვის, რომ მომჩივარიც და პასუხის-მგებელიც ვიყავით იქ და ამ შემთხვევებში, თუ დრო აძლევს ნება, მომრ. მოსამართლე იმ წამსვე არჩევს ხოლმე. აქაც მიჭქარავს, „მარტვილელი,“ როდესაც ამბობს, რომ ვითომც მარტოკა ჩემთვის დააშურა იმან ეს.

აი ასე იყო საქმე. აბა ახლა წაიკითხეთ „მარტვილელის“ წერილი და შეადარეთ იმისი ტონი და შინაარსი. რომ დგებუაძემ დამკრა—ეს არა მწყინს და არც საწყენია. გაცოფებულს ცხოველს კაცი გზაზედაც შეჰხვდება და თუ ვერ მოიგერე ჯოხით ან სხვა რამით, დაგლეჯს. არა მწყენს არც „მარტვილელის“ წერილი და იმისი ტონი. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ კაცი აქამომდე იწყვეტს სინიდისს, რომ თავის პიროვნულ მიზანის ასასრულებლად არ უდგება და არ ერიდება არა რა საშვალებას, რაც გინდა უკადრისო იყოს ეს საშვალება; მაწუხებს ის, რომ იძულებული ვარ ავიღო ხელში კალამი და მოვიწერო ეს წერილი, რომელიც შეეხება და შეადგენს პასუხს იმისთანა მყრალი ნაწერისა. მაგრამ, კიდევ ვიტყვით, რა ქნას კაცმა, რა იცის გარეშეპირმა რაშია საქმე?

რაც შეეხება მარტვილელის რჩევას, რომ მე კარგად ვექცეოდე მარტვილის საზოგადოებას, მოვახსენებ შემდეგს: მარტვილის საზოგადოებას ვყოფ ორ ნაწილათ; ერთი ნაწილი, ნაკლები რამდონიმე პირი და ოჯახი სახლობა ღირსია პატივისა და კიდევაც ვსცემ პატივს; მეორე ნაწილს; უმეტესს, ვექცევი და მოვექცევი მომავალშიაც ისე, როგორც ესენი ღირან. რაც შეეხება იმას, როგორნი და რის ყადრნი არიან—ამას მაგალითს წარმოგვიდგენს თვით „მარტვილელი“ და მისი ცრუ და მყრალი წერილები...

ა. ხელაშვილი.

მარტვილი,
24 იანვარი.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ყველა სასამართლოებს კონსტანტინეპოლში მისვლიათ ბრძანება, რომ არც ჯამაგირები დაურიგონ მოხელეებსა და არც სხვა გვარი ხარჯი მოახდინონ მომავალ მარტის გასვლამდე, რადგანაც მთელი სახელმწიფოს შემოსავალი ეხლა სამხედრო მზადებისათვის არის საჭიროვო.

რუსის სტამბოლელ ელჩს მისვლია თავის მმართლებლობისაგან მიწერილობა, რომ გაიგოს პორტასაგან, თანახმაა თუ არა, რომ იმას გარდა, რაც არის მოყვანილი 3-ს ოკტომბრის ნოტაში, კიდევ დაუთმოს რამე საბერძნეთს? ამგვარ მოწერილობებსვე მიელიან დანარჩენ სახელმწიფოთ ელჩებიც.

სამხედრო მინისტრს ოსმან-ფაშას უთქომს, რომ საბერძნეთის ჯარში სულ დიდი 20,000 თუ გამოვა კარგათ გამოცდილი მხედარი, დანარჩენები სულ ახლად მოგროვილნი არიანო.

ოსმალეთის სამხედრო უმეტეს ნაწილად შემდგარია არაბელთაგან, რომელნიც უფრო ნაკლებ ერთგულნი არიან ხონთქარისა, ვინემ დანარჩენი მისი ქვეშევრდომნი. 20,000 ჯარი ოსმალეთისა დგას

---

ძალის თვისება ერთმანერთს შეუფარდა, მის გონებაში დაიბადა ეს კოსმოგონიური ჰიპოტეზა, რომელსაც ეხლა აგიწერთ.

პირველად ნივთიერება იყო გაბნეული მსოფლიო სივრცეში და გარეგანი ფორმით ემსგავსებოდა ღრუბელს *). თან-და-თან ეს ბნეული ნივთიერება მომზიდაობის ძალის მოქმედებით იკრიბებოდა ერთს ადგილს (მომზიდაობის ცენტრთან, სადაც მომზიდაობა უფრო ძლიერი იქმნებოდა) და სქელდებოდა. შესქელებისათანავე ამ ნივთიერებაში იბადებოდა სიმხურვალე და ელვარება.

თვით ჩვენი მზე თავ-და-პირველად ღრუბლოვანი ნივთიერება იყო, შუა ადგილას უფრო შესქელებული და ამის გამო სინათლის გამომცემი. ლაპლასის ჰიპოტეზით ეს ნივთიერება უნდა მბრუნავი ყოფილიყო. ბრუნვისაგან მზის შემადგენელი ნივთიერება ბურთის მსგავსი ფორმისა უნდა გამხდარიყო და ცენტროს-მშორავი ძალის მოქმედებისაგან შუა წელში (ეკვატორში) გამობერილი. რაც უფრო ღრუბლოვანი ნივთიერება მეტადა სქელდებოდა და იკუმშებოდა, მზის სფეროც მომატებულის სისწრაფითა ბრუნავდა. აჩქარებული ბრუნვისაგან ცენტროს-მშორავი ძალა მატულობდა, ასე რომ ბოლოს მომზიდაობის ძალას გადაამეტა და მზეს ეკვატორიდამ მოშორდა სარტყელივით ნივთიერება (ჩვენ ხომ ვიცით, რომ სფერას შუა წელში ცენტროს-მშორავი ძალა მომატებული ძლიერებითა მოქმედებს: მოვიგონოთ მავთულის კრიკალის ტრიალება); შემდეგ იმავე ბრუნვისაგან ეს სარტყელი დასწყდა და ყოველის ნაწყვეტისაგან წარმოსდგა პლანეტი, მათ შორის ჩვენი დედამიწაც.

პლანეტები, რასაკვირველია, იმავე მხრივ უვლიდნენ მზეს, რომელ მხრივაც თვითონ მზე ტრიალებდა და შემდეგ მზესაგან მოშორებული ნივთიერების სარტყელი.

ცენტროს-მშორავის ძალის მოქმედების გარდა, ერთი პლანეტიც სატურნი გვარწმუნებს, რომ მზისაგან ნივთიერების ჯერ სარტყელივით მოშორება ძალიან შესაძლო იყო. სატურნს ეხლაც აკრავს გარს მოელვარე სარტყელი; ეს სარტყელი შემდეგ ოდესმე დასწყდება და მისი ნაწყვეტებისაგან ახალი ციური მნათობები დაიბადებიან, რომელნიც გარს უვლიან სატურნს.

პლანეტა იუპიტერს ოთხი თანმსრბოლი ჰყავს, რომელნიც უვლიან მას გარს როგორც ჩვენს დედა-მიწას მისი თანმსრბოლი—მთვარე. მთვარეცა და იუპიტერის თანმსრბოლებიც იმავე სახით და იმავე ცენტროს-მშორავის ძალის მოქმედებით მოშორებულან თავიანთ დედა მნათობებს (დედა-მიწასა და იუპიტერს).

ეს კოსმოგონიური თეორია ადვილად გვიხსნის თუ რა მიზეზია, რომ: 1) პლანეტები ყველანი ერთს მხრივ უვლიან მზეს, 2) ერთი მოძრაობის ცენტრო აქვსთ; 3) ყველანი მზის ეკვატორის პირდაპირა ტრიალობენ.

ამიტომ ამბობს თეორია, რომ პლანეტები მზის ნაგლეჯები არიან და როგორც მზეს უტრიალნია, ისინიც ისე ტრიალობენ.

აგრეთვე ეს თეორია გვიხსნის თუ პლანეტები რათ არიან ჩრდილოეთის და სამხრეთს პოლიუსზედ გამრტყელებულნი. ამისი მიზეზი ცენტროს-მშორავი ძალის მოქმენდება არის, რომლისგანაც მბრუნავი სფერას შუაწელი განზედ იწევს.

ახალი მეცნიერება, როგორც ზევითა ვსთქვით, თან-და-თან უფრო-და-უფრო რწმუნდება ამ თეორიის ჭეშმარიტებაზედ. უკანასკნელს დროს ჰეიდელბერგის პროფესორების ბუნზენისა და კირხჰოფის გამოკვლევათ მეცნიერებამ შეიძინა ახალი ძლიერი საშუალება ბუნების გამოსაძიებად. მე ვამბობ სპექტრით ანალიზზედ, რომელიც უფრო ცხადად გვაჩვენებს ლაპლასის თეორიის ჭეშმარიტებას. შემდეგში, როდისმე, მოვილაპარაკებთ თუ რაში მდგომარეობს ეს სპექტრით ანალიზი და რა საოცარს ამბებს გვატყობინებს იგი ქვეყნიერებაზედ და ქვეყნიერების ცხოვრებაზედ.

სპექტრითი ანალიზის შემწეობით, ასტრონომია უფრო დარწმუნდა, რომ ციურ მნათობების თვისებათაც ადვილად აგვიხსნის დიდებული მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერებით დაბადებული ევოლიუციის ფილოსოფია.

---

*) ტელესკოპი გვიჩვენებს, რომ ცის ...ცეში ეხლაც არის მრავალს ადგილს ...ირი ნივთიერება. ამ ბნეული ნივ...ების ზვავებას (ხროვას) ასტრონო... ეძახიან ღრუბლოვანებას. მამა... ...თ ვილიამ და ჯონ გერშელებმა ...ნიმე ათასი ღრუბლოვანება ამოაჩი... ...და აწერეს მათი გარეგანი ფორმა.

თესალიაში და 16,000 ეპირში (საბერძნეთის საზღვრებზე).

—

**სერბია.** ერთს სერბიულ გაზეთში დაბეჭდილია ავსტრიის წინააღმდეგ წერილი სათაურით: — „სერბია და მისი პოლიტიკა.“ წერილში სხვათა შორის ნათქვამია: „ავსტრო—ვენგრიას ჰსურს კიდევ დაიპყრას ახალი მიწები. სერბია მუდამ იმ პოლიტიკას უნდა მიჰყვებოდეს და მსურველი უნდა იყვეს, რომ რუსეთთან განუყრელვეველი კავშირი და ნდობა იქონიოს. ვინც ამ პოლიტიკას არ მიჰყვება, ის სამშობლოს მოღალატეთ ჩაითვლება.“

—

**იტალია.** ამ ხანებში უნდა მოხდეს იტალიაში რამდენიმე სახალხო ყრილობა იტალიის მინისტრები მოილაპარაკებენ ამ დღეებში, მეფე ჰუმბერტის თანადასწრობით, ამ ყრილობაზედ ხმის უფლების მიცემაზედ. ამას გარდა მოილაპარაკებენ ტიროლისა და ტრიესტის იტალიასთათ შეერთებაზედ.

ამ ყრილობისათვის დიდი მზადებაა თურმე. რომში იქნება 2,000 ჯარი.

ჯუზეპპე გარიბალდის სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრმა მისივე შვილის მენოტი გარიბალდის პირით, რომ ის ნუ დაესწრება ამ ყრილობებზედა. პირველ მინისტრს კაიროლის უთქვამს, რომ თუნდ მოხუცებულმა გარიბალდიმ მიიღოს მონაწილეობა ამ ყრილობებზედ და თუნდა თავ-მჯდომარეთაც ამოირჩიონ ის, მმართებლობა მაინც მიიღებს ღონისძიებას, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს და ყრილობის გარდაწყვეტილებანი სამართლიანი იყვნენ.

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთის მეფეს განზრახვა აქვს თურმე გადადგეს ტახტიდამ, თუ სახელმწიფოებმა იძულებული ჰყვეს ის, რომ ომისათვის მზადება შეაჩეროს.

ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა მალე ასტყდება ომიო.

ავსტრიის ქალაქიდამ, პრესპურგიდამ, გაუგზავნიათ საბერძნეთში ორი მილიონი თოფის-სასროლი.

დეპუტატთა პალატში გამოუცხადებია მინისტრს კუმუნდუროსს, რომ ამ ჟამად საბერძნეთის ჯარის რიცხვი შეადგენს 54,000 კაცსაო და თუ საჭიროება მოითხოვს, რამდენიმე დღეში შეიძლება 74,000 კაცამდინ გამოვიყვანოთ ბრძოლის ველზედაო.

# განცხადებანი

—

ახალი ამბავი.

ქ. ფოთში გაგადე კახური ღვინის პადვალი, მიხეილოვსკის მაედანზედ, სურგულაძის სახლებში, სმირნოვის სახლების პირდაპირ. ღვინოს ვყიდი თფილისის მაზანდაზე. ბოთლი 30 კ.—1 მანეთამდის.

იმედი მაქვს საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს ჩემი. ...ლდოვე
(3—1)

---

**სამშაბათს; 17 თებერვალს ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების** სასარგებლოთ, თბილისის კრუჟოკში იქნება გამართული

## ბალი

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. კავალერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით. (6—1)

---

სოლოლაკში, ერეკლეს ქუჩაზე, მირზოევის (ხატისოვის) სახლებში, № 6 გაიხსნა

**თესლისა და ყვავილების**

**მაღაზია**

აქვე ისყიდება **წიგნები და ჟურნალები** რუსულის და სხვა ენებზე. (5—4)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...
(100—48)

---

**ჩრდილოეთის მზღვეველ საზოგადოების აგენტის გაგა ლოვისა**

პატივი მაქვს ამით გამოვაცხადო საყოველთაოდ, რომ მე ვიღებ საზღვევლად (სტრახში) ფოთში და იმის არე-მარეში: ქვის და ხის შენობებს და საქონელს სკლადებში და გარეთ დაწყობილს და აგრეთვე ზღვითა და ხმელეთით გასაგზავნ საქონელს.
(3—2)

---

**პატენტიანი შჩოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—88)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | | |
|---|---|---|
| გადარეთ ჩვენი ჩაი | —1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ 40 კ |
| — — | —1—20 | — —1—60 |
| — — | —1—40 | — —1—80 |
| — — | —1—60 | — —2— „ |
| — — | —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—89)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-ყვანი



მაკ-ასა-რი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.
(150—35)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვიდრემც სხვაგან. (20—17)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად გასფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—17)

---

**მიუხედავათ** ...მოიმატა, საქონელი ...ისევ ... ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგოუ-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მაჩინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.
100—18

---

თფილისის ქველ-მოქმედის საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლაში მიიღებენ დასაჭრელ, დასაბლანდ და საკერავ ტანთსაცმელთ ქალებისა და ყმაწვილებისა; აგრეთვე ზომის აღებით ამზადებენ სხვა და სხვა თარგებს ბევრ ნაირ ფასონისას. ყველა ზაკაზს ზომიერ ფასათ იღებიან.

მსურველთ ახალ მეთოდით ჭრაკერვის შესწავლისა შეუძლიანთ მიიღონ ამ საგანში გაკვეთილები, ცალკე დანიშნულ დროზედ იქვე სკოლაში. მთელი შეგროვილი ფული სკოლის გასამჯობისებლად მიდის დაწვრილებით ამბავი შეიძლება შეიტყოს სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—2)

---

**ტაქცია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით ერთის თვის განმავლობაში, 1 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 5 კ.
მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირვ. 6 კ.
მეორის „ — 1 გირ. $4^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7
მეორის „ „ 1 გირ. $5^1/_2$
მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის— 1 გირ. 10 კ.
მეორის „ — 1 გირ. 8.
სუკი — 1 გირ. 17
ცხვრის ხორცი 1 გირ. 12

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის— 1 გირ. 12
მეორის „ — 1 გირ. 11 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Февраля 1881 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი